აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №5

27/08/2020 წელი **ქ. ბათუმი**
14[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, სოფიო კახაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე და მარიამ გუგუნავა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და უმაღლესი საბჭოს არჩეულ უსკოს წევრებს ნოდარ მელაძეს, ირაკლი გვარჯალაძეს და მარიამ გუგუნავას მიულოცა უსკოს წევრად არჩევა. ასევე სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის სახელით, მადლობა გადაუხადა უსკოს ყოფილ წევრებს, თორნიკე მჟავანაძე, რამაზ გოლომანიძე და ზურაბ გოლიაძეს იმ ნაყოფიერი თანამშრომლობისა და საქმიანობისთვის, რომელიც მათ უსკოს საკეთილდღეოდ გასწიეს, რის შემდეგაც კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ;

4. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, წევრის უფლებამოსილების ვადით კომისიამ თავისი შემადგენლობიდან უნდა აირჩიოს უსკოს თავმჯდომარის მოადგილე სრული შემადგენლობის უმრავლესობით. პარმენ ჯალაღონიამ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების

შესახებ“ კანონის თანახმად, კომისიას შესთავაზა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის(ების) დასახელება.

აზრი გამოთქვეს: სოფიო კახაძემ, ტარიელ გოგიტიძემ და მარიამ გუგუნავამ.

სოფიო კახაძემ, ტარიელ გოგიტიძემ და მარიამ გუგუნავამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე დაასახელეს ნოდარ მელაძის კანდიდატურა.

კომისიის წევრებს შენიშვნები და სხვა წინადადებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე ნოდარ მელაძის კანდიდატურის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

პარმენ ჯალაღონიამ კომისიას გააცნო კენჭისყრის შედეგები, მიულოცა ნოდარ მელაძეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევა და უსურვა წარმატებები.

კენჭისყრის შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარცევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა - ნოდარ მელაძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნეს ნოდარ მელაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტი. სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, უსკოს საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტის შესაბამისი დანართებით მტკიცდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და საწვავით უზრუნველყოფის წესი და საწვავის გაცემის უწყისის ფორმები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	6;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ[3]“ ქვეპუქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია, **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და საწვავით უზრუნველყოფის წესი, დანართის №1 შესაბამისად.

2. დამტკიცდეს საწვავის გაცემის უწყისის ფორმები, დანართი №2 შესაბამისად.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების რაოდენობისა და შრომის

ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, მე-13 მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის საარჩევნო პერიოდში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2019 წლის 25 დეკემბრის №6 განკარგულების №1 დანართით გათვალისწინებული, შესაბამისი თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის საარჩევნო პერიოდში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

3. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის *№2* დანართის №2 ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს ზღვრულ ოდენობას.

4. ამ განკარგულების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2020 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მათი მოქმედების ვადა განისაზღვროს ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**